07.06.11 № 03-2-1-1-13/2475

საქართველოს ეროვნული ბანკის
ვიცე პრეზიდენტს ბ-ნ ო. ნადარაიას

ასლი საფონდო ბირჟას

მიმდინარე ანგარიშის შესახებ

საქართველოს საფინანსო ზედამხედველობის სააგენტოს 2009 წლის 25 მაისის N 22 ბრძანების მე-5 მუხლის 1-ლი პუნქტის ვ)ქვეპუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2011 წლის 16 მაისს სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით 2011 წლის 16 მაისიდან სს"ვითიბი ბანკ ჯორჯიას" საცალო ბიზნესის დირექტორს - ვალერიან სერგოს ძე გაბუნიას გაუგრძელდა უფლებამოსილება 2 წლის ვადით. აღნიშნული გადაწყვეტილების თაობაზე ჩვენს მიერ ოქმი წარმოდგენილია 2011 წლის 1 ივნისის N 2/1-10/2377 წერილით, დამატებით წარმოგიდგენთ ელექტრონულ ვერსიას.

ამასთან, გაცნობებთ, რომ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვასილ ტიტოვი ამ ანგარიშს ხელს არ აწერს, ვინაიდან ამჟამად იგი არ იმყოფება საქართველოში.

CD დისკი- 1 ცალი

პატივისცემით,

გენერალური დირექტორი არჩილ კონცელიძე

სს "ვითიბი ბანკი ჯორჯია"
საქართველო 0108
თბილისი
გ. ჭანტურიას ქ. 14

ტელეფონი:
+(995) 32-505-505
ფაქსი:
+(995) 32-93-32-91

SWIFT: UGEBGE22
E-mail: info@vtb.com.ge

სს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას"

სამეთვალყურეო საბჭოს

ოქმი №3/2011

(დაუსწრებელი კენჭისყრით)

ქ.თბილისი, გ.ჭანტურიას ქ. №14
2011 წლის 16 მაისი

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" წესდების 6.12 პუნქტის თანახმად, სააქციო საზოგადოება სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" (შემდგომში - სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" ან ბანკი) სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება დღის წესრიგის საკითხებზე დაუსწრებელი კენჭისყრის საშუალებით.

კენჭისყრა დღის წესრიგის საკითხების შესახებ სამეთვალყურეო საბჭოს წევრების მიერ განხორციელდა დაუსწრებელი კენჭისყრის ბიულეტენების შევსებით. დაუსწრებელი კენჭისყრის ბიულეტენების მიღების დასრულების მომენტისთვის ისინი წარმოდგენილი იქნა სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი წევრების მიერ:

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე:	ვ.ტიტოვი
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე	ო.დერგუნოვა
სამეთვალყურეო საბჭოს წევრები:	ვ.სმაკოვი
	ვ.ვერხოშინსკი

გ.ლომიძე

დაუსწრებელ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" სამეთვალყურეო საბჭოს 5 (ხუთმა) წევრმა.

დაუსწრებელი კენჭისყრის ბათილი ბიულეტენები არ გამოვლენილა.

სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" წესდების 6.8 პუნქტის შესაბამისად ქვორუმი დღის წესრიგის საკითხებზე გადაწყვეტილების მისაღებად არის.

<u>დღის წესრიგი:</u>

1) სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" დირექტორატის წევრის ვ.გაბუნიას უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ.

2) სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" დირექტორატის წევრების 2010 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით პრემირების შესახებ.

3) ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, კერძოდ, საბურთალოს ფილიალის მმართველის, რ.თავყელიშვილის სახელფასო ბარათზე ოვერდრაფტის დადგენის შესახებ.

4) ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, კერძოდ, ვაკის ფილიალის მმართველის მოვალეობის შემსრულებლისთვის, ნ.კახიანისთვის კრედიტის გაცემის შესახებ.

5) ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, კერძოდ, რუსთავის ფილიალის მმართველის, ი.ჩიქოვანის სახელფასო ბარათზე ოვერდრაფტის დადგენის შესახებ.

6) ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, კერძოდ, საცალო ბიზნესის დირექტორისთვის, ვ.გაბუნიასთვის კრედიტის გაცემის შესახებ

7) ქ.თბილისში, იალბუზის ქ. #14-ში განლაგებული ბანკის უძრავი ქონების გასხვისების შესახებ.

1. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" დირექტორატის წევრის ვ.გაბუნიას უფლებამოსილების ვადის გაგრძელების შესახებ

გაეცვნენ ინფორმაციას დირექტორატის წევრის, საცალო ბიზნესის დირექტორის ვ.გაბუნიას უფლებამოსილების ვადის ამოწურვის შესახებ, რომელიც აღნიშნულ თანამდებობაზე დაინიშნა სამეთვალყურეო საბჭოს 2010 წლის 17 მაისის გადაწყვეტილებით (ოქმი #6/2010). ბანკის წესდების 6.13 პუნქტის, „d" ქვეპუნქტის შესაბამისად შემოთავაზებულია დირექტორატის წევრის, საცალო ბიზნესის დირექტორის ვ.გაბუნიას უფლებამოსილების ვადის გაგრძელება.

მიღებული გადაწყვეტილება:

1.1. 2011 წლის 16 მაისიდან 2 (ორი) წლის ვადით გაუგრძელდეს უფლებამოსილების ვადა დირექტორატის წევრს, საცალო ბიზნესის დირექტორს ვალერიან სერგოს ძე გაბუნიას.

1.2. 2011 წლის 16 მაისიდან ვალერიან სერგოს ძე გაბუნიას განესაზღვროს ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო წინამდებარე ოქმის #1 დანართის თანახმად.

1.3. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს ვ.ტიტოვს მიენიჭოს უფლებამოსილება ბანკის სახელით მოაწეროს ხელი 2010 წლის 17 მაისის კონტრაქტის დამატებით შეთანხმებას საცალო ბიზნესის დირექტორთან ვ.გაბუნიასთან, წინამდებარე ოქმის #2 დანართის თანახმად.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

2. სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" დირექტორატის წევრების 2010 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით პრემირების შესახებ

ბანკის წესდების 6.13 პუნქტის, „d" ქვეპუნქტის შესაბამისად გაეცვნენ წინადადებას სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" დირექტორატის წევრების გაწეული სამუშაოს შედეგად პრემირების შესახებ 2010 წლის ბიზნეს–გეგმის შესრულების შედეგების მიხედვით (2010 წლის ბიზნეს–გეგმის შესრულების ანგარიში განხილულია 2011 წლის 08 აპრილს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ოქმი №2/2011, 08.04.2011 წელი).

მიღებული გადაწყვეტილება:

2.1. 2010 წლის ბიზნეს–გეგმის შესრულების შედეგების გათვალისწინებით სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" დირექტორატის წევრებზე გაიცეს პრემია 2010 წლის მუშაობის შედეგების მიხედვით, წინამდებარე ოქმის #3 დანართის თანახმად.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

3. ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, კერძოდ, საბურთალოს ფილიალის მმართველის, რ.თავყელიშვილის სახელფასო ბარათზე ოვერდრაფტის დადგენის შესახებ

გაეცვნენ ინფორმაციას ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 04.05.2001 წლის №116

ბრძანებით დამტკიცებულ „ინტერესების კონფლიქტისა და ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის ოპერაციების წარმოების შესახებ“ დებულებისა, კერძოდ, საბურთალოს ფილიალის მმართველის, რ.თავყელიშვილის სახელფასო ბარათზე (საბარათე ანგარიშზე) 2 800 (ორიათას რვაასი) ლარის ოდენობის ოვერდრაფტის დადგენის შესახებ.

მიღებული გადაწყვეტილება:

3.1. მოწონებული იქნას გარიგების დადება ბანკის ადმინისტრატორთან, კერძოდ ოვერდრაფტის დადგენა საბურთალოს ფილიალის მმართველის, რ.თავყელიშვილის სახელფასო ბარათზე, შემდეგი პირობებით:

მხარეები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია” (კრედიტორი) და ფიზიკური პირი რ.თავყელიშვილი (მსესხებელი).

საგანი: მსესხებლის სახელფასო ბარათზე (საბარათე ანგარიშზე) 2 800 (ორიათას რვაასი) ლარის ოვერდრაფტის დადგენა, წლიური 18% განაკვეთით, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას” საკრედიტო პროცედურის შესაბამისად.

ვადა: 12 თვე (ავტომატური პროლონგაციით).

უზრუნველყოფა: უზრუნველყოფის გარეშე, თანახმად ეროვნული ბანკის 03.08.2010 წლის №2-13/2181 საპასუხო წერილისა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ 28.07.2010 წლის №05-2/156/3666 წერილზე.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

4. ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, კერძოდ, ვაკის ფილიალის მმართველის მოვალეობის შემსრულებლისთვის, ნ.კახიანისთვის კრედიტის გაცემის შესახებ

თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 04.05.2001 წლის №116 ბრძანებით დამტკიცებული „ინტერესების კონფლიქტისა და ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის ოპერაციების წარმოების შესახებ“ დებულებისა, გარიგებები ბანკის ადმინისტრატორებთან ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულო მოწონებას. ზემოაღნიშნულის შესაბამისად, გაეცნენ ინფორმაციას ვაკის ფილიალის მმართველის მოვალეობის შემსრულებლისთვის, ნ.კახიანისთვის 6 000 (ექვი ათასი) ლარის ოდენობის კრედიტის გაცემის თაობაზე გარიგების დამტკიცების აუცილებლობის შესახებ.

მიღებული გადაწყვეტილება:

4.1. მოწონებული იქნას გარიგების დადება ბანკის ადმინისტარტორთან, კერძოდ, საკრედიტო შეთანხმება ვაკის ფილიალის მოვალეობის შემსრულებელთან, ნანა ვლადიმერის ასულ კახიანთან 6 000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით, შემდეგი პირობებით:

მხარეები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია” (კრედიტორი) და ფიზიკური პირი ნ.კახიანი (მსესხებელი).

საგანი: მსესხებლისთვის 6 000 (ექვსი ათასი) ლარის კრედიტის გაცემა 24 თვის ვადით, წლიური 17% განაკვეთით, კრედიტის გაცემის საკომისიო 0,5%.

უზრუნველყოფა: უზრუნველყოფის გარეშე, თანახმად ეროვნული ბანკის 03.08.2010 წლის №2-13/2181 საპასუხო წერილისა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ 28.07.2010 წლის №05-2/156/3666 წერილზე.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

5.ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, კერძოდ, რუსთავის ფილიალის მმართველის ი. ჩიქოვანის სახელფასო ბარათზე ოვერდრაფტის დადგენის შესახებ

გაეცნენ ინფორმაციას ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების დამტკიცების აუცილებლობის შესახებ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 04.05.2001 წლის №116 ბრძანებით დამტკიცებული „ინტერესების კონფლიქტისა და ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის ოპერაციების წარმოების შესახებ" დებულების შესაბამისად, კერძოდ, რუსთავის ფილიალის მმართველის ი. ჩიქოვანის სახელფასო ბარათზე 3 200 (სამიათას ორასი) ლარის ოდენობის ოვერდრაფტის დადგენის შესახებ.

მიღებული გადაწყვეტილება:

5.1. მოწონებული იქნას ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების დადება, კერძოდ რუსთავის ფილიალის მმართველის ირაკლი არჩილის ძე ჩიქოვანის სახელფასო ბარათზე ოვერდრაფტის დადგენის შესახებ, შემდეგი პირობებით:

მხარეები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია" (კრედიტორი) და ფიზიკური პირი ი.ჩიქოვანი (მსესხებელი).

საგანი: მსესხებლისთვის სახელფასო ბარათზე (საბარათე ანგარიშზე) 3 200 (სამიათას ორასი) ლარის ოვერდრაფტის, წლიური 18% განაკვეთით დადგენა, სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" საკრედიტო პროცედურის შესაბამისად.

ვადა: 12 თვე (ავტომატური პროლონგაციით).

უზრუნველყოფა: უზრუნველყოფის გარეშე, თანახმად ეროვნული ბანკის 03.08.2010 წლის №2-13/2181 საპასუხო წერილისა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას“ 28.07.2010 წლის №05-2/156/3666 წერილზე.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

6. ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების მოწონების შესახებ, კერძოდ, საცალო ბიზნესის დირექტორისთვის, ვ.გაბუნიასთვის კრედიტის გაცემის შესახებ

თანახმად საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 04.05.2001 წლის №116 ბრძანებით დამტკიცებული „ინტერესების კონფლიქტისა და ბანკის ადმინისტრატორებსა და მათთან დაკავშირებულ პირებს შორის ოპერაციების წარმოების შესახებ“ დებულებისა, გარიგებები ბანკის ადმინისტრატორებთან ექვემდებარება ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს სავალდებულო მოწონებას. ზემოაღნიშნულის შესაბამისად გაეცნენ ინფორმაციას საცალო ბიზნესის დირექტორისთვის, ვ.გაბუნიასთვის გარიგების მოწონების აუცილებლობის შესახებ 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობის კრედიტის გაცემის თაობაზე გარიგების დადების აუცილებლობის შესახებ.

მიღებული გადაწყვეტილება:

6.1. მოწონებული იქნას ბანკის ადმინისტრატორთან გარიგების დადება, კერძოდ საკრედიტო გარიგება საცალო ბიზნესის დირექტორთან, ვალერიან სერგოს ძე გაბუნიასთან 20 000 (ოცი ათასი) ლარის ოდენობით, შემდეგი პირობებით:

მხარეები: სს „ვითიბი ბანკი ჯორჯია” (კრედიტორი) და ფიზიკური პირი ვ.გაბუნია (მსესხებელი).

საგანი: მსესხებლისთვის 20 000 (ოცი ათასი) ლარის კრედიტის გაცემა 24 თვის ვადით, წლიური 17% განაკვეთით, კრედიტის გაცემის საკომისიო 0,5%.

უზრუნველყოფა: უზრუნველყოფის გარეშე, თანახმად ეროვნული ბანკის 03.08.2010 წლის №2-13/2181 საპასუხო წერილისა სს „ვითიბი ბანკ ჯორჯიას" 28.07.2010 წლის №05-2/156/3666 წერილზე.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

7. ქ.თბილისში, იალბუზის ქ. #14-ში განლაგებული ბანკის უძრავი ქონების გასხვისების შესახებ.

გაეცნენ ინფორმაციას ბანკის უძრავი ქონების - ქ.თბილისში, იალბუზის ქ. #14-ში განლაგებული მიწის ნაკვეთის გასხვისების მიზანშეწონილობის შესახებ (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, საბალანსო ღირებულება შეადგენს 3,074,400 ლარს (1,863,272 აშშ დოლარს, აშშ დოლარის ამჟამინდელი საშუალო კურსის: 1 აშშ დოლარი=1.65 ლარი, გათვალისწინებით)), საქართველოს ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების მიხედვით– 3 181 170 ლარს (1 927 981 აშშ დოლარს, აშშ დოლარის ამჟამინდელი საშუალო კურსის: 1 აშშ დოლარი=1.65 ლარი, გათვალისწინებით) და დამოუკიდებელი შემფასებლის, შპს „ბეიკერ ტილლი ჯორჯიას" დასკვნის გათვალისწინებით, რომლის შესაბამისად ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთის ღირებულება 2010 წლის ბოლოსთვის შეადგენს 3,074,400 ლარს (1,734,000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში საქართველოს ეროვნული ბანკის კურსის მიხედვით 1 აშშ დლარი=1,7727 ლარი) (წინამდებარე ოქმის დანართი #4)).

მიღებული გადაწყვეტილება:

7.1. ბანკის წესდების 6.13 პუნქტის, „r1“ ქვეპუნქტის თანახმად, მოხდეს ბანკის საკუთრებაში არსებული, ქ.თბილისში, იალბუზის ქ. #14-ში განლაგებული მიწის ნაკვეთის გასხვისება, არანაკლებ 1,940,000 აშშ დოლარის ექვივალენტ ლარში ღირებულებით.

კენჭისყრის შედეგები:

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე ვ.ტიტოვი

სამეთვალყურეო საბჭოს მდივანი ნ. კანდელაკი